ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. ოქტომბრის 15. № 16 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

246. ადგილობრივი საბჭოების ქონებრივი უფლებების დებულების მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

247. გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ და სრულიად სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მსახურთათვის სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში თანამდებობის მიცემის წესის შესახებ.

248. სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გამგებლობაში გადაცემული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების ხელმძღვანელობის შესახებ,

249. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების ნე-17 მუხლის შეცვლის შესახებ.

250. ფიზიკური კულტურის მშენებლობის წამახალისებელ და მომწესრიგებელ ღონისძიებათა შესახებ.

251. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 12, 21, 25 და სხვა მუხლების შეცვლის შესახებ.

252. სისხლის სამართლის კოდექსის 78 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 79[1] და 88[2] მუხლების დამატების შესახებ.

253. საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების დამატებისა და შეცვლის შესახებ.

254. პროკურატურის ორგანოების ხელისშემწყობი უჯრედების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება პროკურატურის ორგანოების ხელისშემწყობი უჯრედების შესახებ.

255. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 44 მუხლის დამატების შესახებ.

256. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ.

257. 1930 წლის საშემოდგომო თესვის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაპრემირების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

258. „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-5 მუხლისათვის „კ“ ლიტერის დამატებისა და მე-6 მუხლის ლიტ. „გ“ შენიშვნის შეცვლის შესახებ.

259. „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-8 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

260. „მიწების ჩამორთმევის წესის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. აპრილის 15-ის დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

261. „ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლის აღმომჩენთა გასამრჯელოსი და ხორცის მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების გადაცემის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ძალის დაკარგვის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

262. საფოსტო გზავნილთა სწრაფი და წესიერი მსვლელობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

263. სამოქალაქო ომის ინვალიდებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში თანამდებობის დასაჭერად უპირველესი უფლების მინიჭების შესახებ.

264. მუშა-ძალით მშენებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

265. სატყეო მეურნეობათა მომუშავეების სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა ისინი სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით ან ამ მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულ ან დაშავებულ იქნენ, და აგრეთვე მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

266. ტფილისის ღარიბთა დამხმარე საზოგადოების ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

267. შენობების კაპიტალური რემონტის გასაკეთებლად საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მიერ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობათათვის მისაცემ სესხთა პროცენტის რაოდენობის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

246. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივი საბჭოების ქონებრივი უფლებების დებულების მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

„ა/კსფსრ ადგილობრივი საბჭოების ქონებრივი უფლებების დებულების დამატების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის ივლისის 28-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“-ს 1930 წ. 203 №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ადგილობრივი საბჭოების ქონებრივი უფლებების დებულების მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 73) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გრძელვადიანი სესხის აღება შეიძლება როგორც სსრკ-ის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ მხოლოდ ზედმიწევნით განსაზღვრული დანიშნულებისათვის და მარტოოდენ კაპიტალური ხარჯების გასაწევად ადგილობრივი საბჭოს კუთვნილი ქონებისა და საწარმოს მოწყობისა, გაფართოებისა და აღდგენისათვის; სესხი აიღება ერთ წელიწადზე მეტი ვადით, ხოლო არა უხანგრძლივეს სამოცი წლისა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ულენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

---

247. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ და სრულიად სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მსახურთათვის სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში თანამდებობის მიცემის წესის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილებით დამტკიცებული „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა, სამხედრო ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსის“ 55, 56, 57, 61 და 66 მუხლების განსავითარებლად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 253) და „სათადარიგოდ, გრძელვადიან შვებულებაში და სრულიად სამსახურიდან დათხოვნილ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა შედგენილობის პირთათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში თანამდებობის მიცემის წესის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ოქტომბრის 13 ის დადგენილების გასაუქმებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-10 №-ი, მუხ. 148)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულება და საწარმო და შერეული სააქციო საზოგადოება, რომელსაც ოცზე მეტი მოსამსახურე ჰყავს, მოვალეა მოსამსახურეთა საშტატო თანამდებობებზე, „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსის“ 55 მუხლით გათვალისწინებული სამპროცენტიანი ბრონის ფარგლებში, მიიღოს, მარტოოდენ განსაკუთრებული კომისიების განწესების მიხედვით, გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ და სრულიად სამსახურიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათხოვნილი საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურნი.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი, საწარმონი და საზოგადოებანი მოვალენი არიან დაბრონირებულ თანამდებობათა სიაში მომხდარი ყველა ცვლილება სამი დღის ვადაზე აცნობონ სათანადო კომისიებს.

3. კოდექსის 57 მუხლში აღნიშნულ თანამდებობებზე, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ თანამდებობათა გამოკლებით, მოსამსახურენი მიიღებიან საერთო წესით, ხოლო აუცილებლად გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ და სრულიად სამსახურიდან დათხოვნილ მერიგეთა და თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურნი და აგრეთვე კოდექსის 66 მუხლში აღნიშნული პირნი.

4. შტატების შემცირების დროს სამსახურიდან დათხოვნა ან ნაკლებსასყიდლიან თანამდებობაზე გადაყვანა იმ მუშა-მოსამსახურისა, რომელიც გრძელვადიან შვებულებაში ან სათადარიგოდ დათხოვნილ თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთა რიცხვს ეკუთვნის, ვადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა შედგენილობის გარდა, აგრეთვე იმ მუშა-მოსამსახურისა, რომელიც კოდექსის 66 მუხლში აღნიშნულ პირთა რიცხვს ეკუთვნის, შეიძლება მხოლოდ კოდექსის 61 მუხლში დადგენილი წესების დაცვით.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს სადისციპლინო ან სისხლის სამართლის წესით.

6. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ და წინადადება მიეცეს ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

248. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გამგებლობაში გადაცემული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების ხელმძღვანელობის შესახებ.

უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების საკითხებში ერთიანი მარქსისტულ-ლენინური ხაზის გატარებისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარიატებისა, საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის უწყებებისა და დაწესებულებებისა და ყველა სამეურნეო ორგანიზაციის გამგებლობაში მყოფი უმაღლესი სასწავლებლებისა და სპეციალური ტეხნიკუმებისათვის საპროგრამო-სამეთოდო ხელმძღვანელობის გაწევა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაეკისროს განათლების სახალხო კომისარიატს.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ხელმძღვანელობის განსახორციელებლად განათლების სახალხო კომისარიატი:

ა) დააწესებს, იმ უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რომელთა გამგებლობაშიაც სასწავლებლებია, სწავლების ვადას სხვადასხვა ტიპის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისათვის;

ბ) დაამტკიცებს ტიპობითს სასწავლო გეგმებსა და პროგრამების საფუძვლებს როგორც თეორეტიული სწავლებისა, ისე საწარმოო პრაქტიკისათვის;

გ) დაამტკიცებს ზემოაღნიშნული სასწავლებლების სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა გეგმებს;

დ) დააწესებს ზემოაღნიშნული სასწავლებლების საპროფესორო და სამასწავლებლო პერსონალის კვალიფიკაციას; ისარგებლებს სამასწავლებლო პერსონალის პირთა ჩამოცილების უფლებას და დაამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებსა და დოცენტებს თანამდებობაზე;

ე) დაამტკიცებს, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, მისაღებ მოსწავლეთა კომპლექტის სასწავლებლებზე განაწილებას;

ვ) დაამყარებს სასწავლებლების ასპირანტურით შევსების წესებს;

ზ) მოაწყობს და განახორციელებს სისტემატიურ კონტროლს უწყებებისა და ორგანიზაციების გამგებლობაში გადაცემულ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის და აგრეთვე მეთვალყურეობას გაუწევს მის მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმებისა და სწავლების პროგრამების სისწორით განხორციელებას;

თ) განიხილავს სახელმძღვანელოებს, სასწავლო წიგნებს და სხვ. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმებისათვის და ნებას დართავს მათ ხმარებას.

3. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილება და განკარგულება მე-2 მუხლში აღნიშნული საკითხების გამო, „ა“ და „ე“ პუნქტებში ჩამოთვლილი საკითხების გამოკლებით, სავალდებულოა იმ უწყებებისა და ორგანიზაციე-

ბისათვის, რომელთა გამგებლობაშიაც სასწავლებლებია, და მათი განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ არსებული საერთო წესით.

უკეთუ მე-2 მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული საკითხების გამო შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საკითხი საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაიტანება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

4. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ყველა საკითხი, გადაწყვეტამდე, შემუშავდება და განიხილება განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსებელ სასწავლო-სამეთოდო კომიტეტში. ამ კომიტეტის შედგენილობაში შედიან იმ უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელთა გამგებლობაშიაც უმაღლესი სასწავლებლები და სპეციალური ტეხნიკუმებია.

იმ ძირითადი და პრინციპიალური საკითხების განსახილველად, რაც სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისათვის საჭირო სპეციალისტების კადრების მომზადების საქმის მდგომარეობასა და განვითარებას ეხება, განათლების სახალხო კომისარიატთან პერიოდულად მოიწვევა სათანადო სასწავლებლების მომუშავეთა და იმ უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციები. რომელთა გამგებლობაშიაც უმაღლესი სასწავლებლები და ტეხნიკუმებია.

5. იმ სახალხო კომისარიატებში, უწყებებში, დაწესებულებებში და სამეურნეო ორგანიზაციებში, რომელთა გამგებლობაშიაც უმაღლესი სასწავლებლები და ტეხნიკუმებია, მოეწყობა კადრების მომზადების საკითხების გამგე ორგანოები.

ამ ორგანოებს ეკისრებათ:

ა) დააწესონ იმ სპეციალობათა და სპეციალისტთა კატეგორიები, რომელნიც მომსახურეობას გაუწევენ უწყებებსა და ორგანიზაციებს;

ბ) დაიმუშაონ ცალკეულ სპეციალობათა პროფილები;

გ) განსაზღვრონ უწყებისა თუ ორგანიზაციის გამგებლობაში მყოფი სასწავლებლების სტრუქტურა;

დ) ხელი შეუწყონ სასწავლებლებს მათ მიერ კონკრეტული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში და დაამტკიცონ ეს გეგმები და პროგრამები;

ე) შეიმუშაონ საწარმოო პრაქტიკის კონკრეტული პროგრამები და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის კონკრეტული გეგმები ქვემდებარე სასწავლებლებისათვის;

ვ) შეიმუშაონ ქვემდებარე სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღებისა და სასწავლებლებიდან გამოშვების წესები;

ზ) გაუწიონ კონტროლი სასწავლებლების მიერ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სპეციალური ნაწილის შესრულებას;

თ) შეიმუშაონ ყოველმხრივ ქვემდებარე სასწავლებლების დაფინანსების საკითხები და ხელი შეუწყონ ამ სასწავლებლებს მშენებლობისა, გაწყობილობისა და სხვა საკითხებში;

ი) გაუწიონ უშუალო ხელმძღვანელობა ქვემდებარე სასწავლებლების მთელ ოპერატიულ, წარმოებითს და სასწავლო მუშაობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) შეადგინონ ქვემდებარე სასწავლებლების ასპირანტების სიები;

ლ) დანიშნონ, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უმაღლესი სასწავლებლების დირექტორები და დეკანები და ტეხნიკუმების გამგეები;

მ) აცნობონ განათლების სახალხო კომისარიატს ქვემდებარე სასწავლებლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში და მასწავლებელთა შედგენილობაში მომხდარი ყველა ცვლილება; აგრეთვე მიაწოდონ დადგენილი ფორმით სტატისტიკური ცნობები ქვემდებარე დაწესებულებების თაობაზე

შენიშვნა. ამა მუხლის „ა“, „გ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტებში აღნიშნული საკითხები დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო უწყებისა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

6. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მასში შემავალი რესპუბლიკებითა და ოლქითურთ.

ამა დადგენილებაში აღნიშნულ განათლების სახალხო კომისარიატის ფუნქციებს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განახორციელებენ განათლების სათანადო ორგანოები კუთვნილებისამებრ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

---

249. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების მე 17 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების (საქ. კან. კრებ. 1925 წ. მე-2 №-ი, მუხ. 45; 1928 წ. მე-12 №-ი, მუხ. 114; 1930 წ. მე 11 №-ი, მუხ. 145) მე-17 მუხ. შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 17. საქართველოს მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში იმყოფება ცალკეული სამეურნეო ერთეული, იურიდიული პირის უფლებით—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბორჯომის მინერალური წყლის ქარხნების სამმართველო“, („ბორჯომინწყალი“), რომლის გამგებლობის საგანსაც შეადგენს ბორჯომის მინერალური წყლების პროდუქციის ამოღება, ჩამოსხმა და გასაღება. განსაკუთრებული დებულების თანახმად, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. დრ. აღმ. **თ. ულენტი.**

1930 აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე

---

250. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ფიზიკური კულტურის მშენებლობის წამახალისებელ და მომწესრიგებელ ღონისძიებათა შესახებ.

დასახლებული ადგილების სასპორტო ბაქნებით, სტადიონებით და სხვადასხვა სპეციალური საფიზკულტურო ნაგებობით (ტირები, აუზები ცურვისათვის, წყალ-სადგურები, საფიზკულტურო ბაქნები, სოლარიუმები და სხვ.) მოწყობის საქმეში გეგმიანობის შესატანად ფიზკულტურის განვითარების საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ საგეგმო კომისიასთან არსებულ სამშენებლო სექციის შედგენილობაში შევიდეს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს სამი წარმომადგენელი ყველა, როგორც უკვე დამტკიცებული, ისე განზრახული შენობის პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რათა ეს შენობები უზრუნველყოფილ იქნეს იმ საფიზკულტურო ნაგებობით, რაც განზრახულია უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში.

2. წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის ორგანოებს—დაგეგმვის პროექტების შედგენის დროს გაითვალისწინონ სპეციალურ საფიზკულტურო ნაგებობათათვის სათანადო ოდენობისა და ღირსების მიწის ნაკვეთების მიჩენა ისეთი ვარაუდით, რომ ტერიტორიალური მდებარეობა ამ ნაკვეთებისა მოხერხებული იყოს მოსახლეობისათვის გამოსაყენებლად.

3. სხვადასხვა საფიზკულტურო ნაგებობათათვის მიწის ნაკვეთების მიჩენა უნდა სწარმოებდეს ქალაქის დაგეგმვის პროექტების შესაბამისად, ხოლო ამ პროექტების შედგენამდე—ქალაქის დაგეგმვის განზრახულებათა საფუძველზე. საფიზკულტურო ნაგებობათა ასაშენებლად მისაჩენმა მიწის ნაკვეთებმა, თავიანთი ოდენობით უნდა უზრუნველჰყონ ამ ნაგებობათა წარმატებით გაწყობა და ექსპლოატაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სასპორტო ბაქნებისა, სტადიონებისა და სხვა საფიზკულტურო ნაგებობათათვის მისაჩენი მიწის ნაკვეთები უნდა იყოს დაგეგმილი, გაწყობილი მისავალი გზებით და წყლით, შემოსილი ტყით და მწვანით, რისთვისაც წინადადება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ შეძლებისადაგვარად თავიანთ ბიუჯეტებში სასპორტო ბაქნების კეთილმოწყობისათვის საჭირო ასიგნები.

5. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ბინათმშენებლობისათვის ახალი რაიონების მომზადებასთან ერთად ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა გაითვალისწინონ ნაკვეთების მიჩენა საფიზკულტურო ნაგებობათათვის.

6. საფიზკულტურო მეცადინეობისათვის უკვე გაწყობილი ნაკვეთებისა და დარბაზების ჩამორთმევა და საერთო საქალაქო აღნაგობისა და სხვა მიზნისათვის გადაცემა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ ეს აღნაგობა შეფარდებულ იქნება ქალაქის საერთო დაგეგმასთან და უკეთუ ჩამორთმეული ნაკვეთის ნაცვლად მიჩენილი იქნება სხვა ახალი ნაკვეთი, შეძლებისდაგვარად ამავე რაიონში. ამასთანავე ყველა უწყება და ორგანიზაცია მოვალეა აუნაზღაუროს ფიზიკური კულტურის სათანადო საბჭოს ახალ ადგილზე სათანადო დარბაზებისა, და სხვა საფიზკულტურო ნაგებობის მოწყობის ხარჯი.

7. დაევალოს ყველა საბინაო სამშენებლო ამხანაგობას, სახელმწიფო სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—ახალი საცხოვრებელი სახლებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა და დაწესებულებების აშენების დროს გაითვალისწინონ ფიზიკური გაჯანსაღების საჭიროებანი და შეადგინონ საბავშვო და სასპორტო ბაქნებისა, დასასვენებელი ბაღებისა, სოლარიუმებისა, საზოგადო დუშებისა და სხვ. აშენების პროექტები და შეიტანონ ეს პროექტები ახალი შენობის ხარჯთაღრიცხვებში.

8. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს მიუჩინონ საზოგადო ბაღებში ადგილები საფიზკულტურო მეცადინეობისათვის საჭირო ბაქნების მოსაწყობად.

9. დაევალოს ყველა საქალაქო საბჭოს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს მიიღონ ღონისძიებანი, რათა, რამდენადაც შეიძლება, შემცირებულ იქნეს ფიზიკური კულტურის ორგანიზაციებისათვის ყოველგვარი კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის ტარიფი როგორც მშენებლობის პროცესში, ისე მშენებლობის დამთავრებისას პირველი სამი წლის განმავლობაში, ისეთი ანგარიშით, რომ კომუნალური მომსახურეობის სასყიდელი ყოველ შემთხვევაში არ აღემატებოდეს ამ მომსახურეობის განსაზღვრულ თვითღირებულებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. დრ. აღმ. **თ. ყულუნტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

251. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 12, 21, 25 და სხვა მუხლების შეცვლის შესახებ.

„ინვალიდთა კოოპერაციის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 25 №-ი, მუხ. 274) და საქართველოს სსრ მმართველობის მომხდარ რეორგანიზაციასთან შესათანხმებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-4 № ი, მუხ. 66 და 1928 წ. მე-4 №-ი, მუხ. 30) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

I.

12, 21 და 25 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით;

„12. არტელის ყოველი წევრი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს არტელის მუშაობაში პირადი შრომით. ინვალიდთა შრომის პირობებს მოაწესრიგებენ სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატები.

დაქირავებული შრომის გამოყენება შეიძლება ისეთი სამუშაოსათვის, რის შესრულებაც არტელის წევრებს არ შეუძლიანთ; სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს ნებართვით დაქირავებული შრომის გამოყენება შეიძლება აგრეთვე დროებითი სამუშაოებისათვის.

დაქირავებით მომუშავე პირთა რიცხვი, იმ პირთა რიცხვთან ერთად, რომელნიც ინვალიდთა არტელის წევრებად მიღებულ არიან მე-9 მუხლის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს ინვალიდ წევრთა რიცხვის ოცდახუთ პროცენტს, ხოლო სათანადო შემთხვევაში (მე-9 მუხ. შენიშვნა) ინვალიდ-წევრთა რიცხვის ორმოცდაათ პროცენტს.

შენიშვნა. ერთსა-და-იმავე დროს ინვალიდთა ორი არტელის წევრად ყოფნა არ შეიძლება“.

„21. ინვალიდთა პირველი საფეხურის შენაერთებს (არტელებს) შეუძლიანთ, რათა თავიანთ ამოცანებს რაც შეიძლება უფრო წარმატებით მიაღწიონ, სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოს ნებართვით, გაერთიანდნენ, ტერიტორიალური ნიშნების მიხედვით, რესპუბლიკანურ, საოლქო და სარაიონო კავშირებად. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა ასეთი შენართების სრულიად საქართველოს ცენტრი—სრულიად საქართველოს ინვალიდთა შენაერთების კოოპერატიული კავშირი“.

„25. საერთო ხელმძღვანელობის გაწევა ინვალიდთა კოოპერაციისათვის, როგორც დამოუკიდებელი კოოპერატიული სისტემისათვის, დაეკისრება საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომელიც საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ფარგლებში განახორციელებს ამ ხელმძღვანელობას სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოების მეშვეობით.

მასვე და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს ეკუთვნით აგრეთვე ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების მმართველი ორგანოების მოქმედების კანონშესაბამობისათვის კონტროლისა და ზედამხედველობის გაწევის უფლება.

ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოო მოქმედების დაგეგმვასა და მოწესრიგებას—კერძოდ, მისთვის საგეგმო წესით გადაცემული ნედლეულობისა. ნახევარფაბრიკატებისა და მასალების ხარჯვის კონტროლს — ანხორციელებენ სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები.

ინვალიდთა კოოპერაციის სავაჭრო მოქმედების დაგეგმვას და მოწესრიგებას ანხორციელებენ სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატები".

II.

28 მუხლის მე-2 ნაწილში, 29 მუხლში და 30 და 33 მუხლებში (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-4 №-ი, მუხ. 30) სიტყვები „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება" შეიცვალოს სიტყვებად: „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმ. **თ. ულენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

252. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 78 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 79¹ და 88² მუხლების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სისხლის სამართლის კოდექსის 78 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„78. განზრახ განადგურება ან დაზიანება სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კოოპერატიული დაწესებულების ან საწარმოს ნაგებობისა თუ ქონებისა, მათ შორის ელექტროსადენისა, კავშირგაბმულობის საშუალებისა და სხვ., გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, უკეთუ რამდენჯერმეა ჩადენილი, ან თუ მას შედეგად მოჰყვა წარმოების შეჩერება თუ შეწყვეტა ან სახელმწიფოსათვის სხვა რამ მძიმე ზიანის მიყენება, ან და უკეთუ ქმედობა ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით, წყლის მიშვებით ან სხვა რაიმე საყოველთაოდ საშიში ხერხით—

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, უკეთუ მან გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი ან საზოგადოებრივი უბედურება—

თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე“.

II.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 79¹ და 88² მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„79¹. განზრახ ისეთი ქმედობის ჩადენა, რასაც მოჰყვა წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათ დამხმარე გამართულობათა მოქმედების შეჩერება, ნათესების გადახმობა ან წყლით წალეკვა, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, უკეთუ მას მოჰყვა სოფლების ან ცალკეული საცხოვრებელი სახლების წყლით წალეკვა ადამიანთა მსხვერპლით ან უამისოდ, ან და სხვა საზოგადოებრივი უბედურება,—

თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე.

გაუფრთხილებლობით ისეთი ქმედობის ჩადენა, რასაც მოჰყვა ამა მუხლის მე-2 და 3 ნაწილებში აღნიშნული შედეგი,—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„88². ისეთი დადგენილების დარღვევა, რომლითაც განსაზღვრულია წყალსარგებლობის წესები და წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათ დამხმარე გამართულობათა დაცვის წესი, უკეთუ მიყენებული ზიანი ას მანეთს აღემატება, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. დრ. აღმ. **თ. ულენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

---

253. დადგენილება ც. ა. კ. ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების დამატებისა და შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 21-ის დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულებას (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 72) დაემატოს მე-10 მუხლის „ა¹“ პუნქტი და მე-11¹ მუხლი შემდგომი შინაარსისა:

[10. საქართველოს სსრ პროკურორს დაეკისრება:...]

„ა¹) თვალყური ადევნოს,—საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრკ-ის და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობისა და მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებით გამოცემული საქართველოს სსრ კანონმდებლობის თვალსაზრისით,—აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათი პრეზიდიუმების დადგენილების კანონიერებას და წარადგინოს ხელმე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში მოხსენება შენიშნულ დარღვევათა შესახებ“.

„მუხ. 11¹. საქართველოს სსრ პროკურორს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორების მეშვეობით, ამა დებულების მე-9 მუხლში აღნიშნულ მოვალეობათა შესრულებისათვის საჭირო ყველა ცნობა, ნარკვევი და მასალა, აგრეთვე დადგენილებისა, განაჩენისა და გადაწყვეტილების ასლი ამა თუ იმ ცალკეულ საქმეებზე, რაც ზემოხსენებული რესპუბლიკებისა და ოლქის სასამართლო დაწესებულებების წარმოებაშია, ხოლო, უკეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი საჭიროდ სცნობს, მოითხოვოს აგრეთვე ისეთი საქმის წარმოების დედანი, რომელზედაც განაჩენი და გადაწყვეტილება უკვე კანონიერ ძალაშია შესული;

ბ) წინადადება მისცეს აფხაზეთის სსრ ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორებს—განაპროტესტონ ხოლმე დადგენილი წესისამებრ ზემდგომ ორგანოებში—თვით სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდუმებშიაც—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების დადგენილებები და განკარგულებანი იმ მოტივების მიხედვით, რომ ეს დადგენილებები და განკარგულებები ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციას, სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობას და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობას, რომლის მოქმედებაც ვრცელდება მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

გ) წინადადება მისცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორებს—შეიტანონ ხოლმე, ზედამხედველობის წესით, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების თანახმად, სათანადო სასამართლო ინსტანციებში განსახილველად ესა თუ ის ცალკეული საქმეები, რომლებზედაც განაჩენი და გადაწყვეტილება უკვე კანონიერ ძალაშია შესული, უკეთუ ამ საქმეების წარმოებაში აღმოჩენილ იქნება დარღვევა სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობისა და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობისა, რომლის მოქმედებაც ვრცელდება მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

დ) შეაჩეროს, აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორების მეშვეობით, ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სასამართლო დაწესებულებების დადგენილებებისა, განაჩენებისა და გადაწყვეტილების აღსრულება".

2. იმავე დებულების მე-12 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. საქართველოს სსრ პროკურორი წარუდგენს ყოველ წელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმს თავისი და ყველა მისი ქვემდებარე პროკურორის—მათ შორის აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორების—მოქმედების ანგარიშს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის
მდივნის მოვ. დრ. აღმ. **თ. ულენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

254. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

პროკურატურის ორგანოების ხელისშემწყობი უჯრედების დებულების დამტკიცების შესახებ.

რათა მშრომელთა მასები ჩაბმულ იქნენ სახელმწიფო პროკურატურის ორგანოების მუშაობაში, რასაც ისინი აწარმოებენ რევოლიუციონური კანონიერების განსახორციელებლად და სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში დაწესებულებათა და საწარმოთა მოქმედებისათვის ზედამხედველობის გასაწევად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მოეწყოს პროკურატურის ორგანოების ხელისშემწყობი უჯრედები და დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ამ ორგანოების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმასრ. **თ. ულენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პროკურატურის ორგანოების ხელისშემწყობი უჯრედების შესახებ.

სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ცალკეულ დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციასთან შეიძლება დაარსებულ იქნეს პროკურატურის ორგანოების ხელისშემწყობი უჯრედები ამ დაწესებულებებისა, საწარმოს და ორგანიზაციის მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის სფეროში.

2. ხელისშემწყობ უჯრედებს მოაწყობენ: ა) ქ. ტფილისში—რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველო ან, მისი მინდობილობით, აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა; ბ) სხვა ადგილას—სათანადო საოლქო პროკურატურა ან, მისი მონდობილობით, სათანადო რაიონის სახალხო გამომძიებელი. ხელისშემწყობი უჯრედების მოწყობის საკითხი პროკურატურის სათანადო ორგანომ უნდა შეუთანხმოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოს და ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ხელისშემწყობი უჯრედები, პირველ რიგში, მოეწყობა დიდროვან დაწესებულებასა და საწარმოსთან და ისეთ პუნქტში, რომელიც ახლო მდებარეობს საოლქო პროკურატურის სამყოფელ ადგილთან, იმ პირობით, რომ მოწყობილი უჯრედების მუშაობის გამოცდილების შესწავლის შემდეგ, ამ უჯრედების ქსელი შემდგომ გაფართოებულ იქნეს აგრეთვე პერიფერიებშიც.

3. ხელისშემწყობი უჯრედის წევრები აირჩევიან სათანადო საწარმოს და დაწესებულების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე აქტიურ, ნიჭიერ და კლასობრივ-გამობრძმედილ მუშათა და მოსამსახურეთაგან.

4. ხელისშემწყობი უჯრედის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს საერთო კრება ამა თუ იმ დაწესებულებისა ან საწარმოს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვისა, სამუშაოს მოცულობისა და ტერიტორიალური ადგილმდებარეობის მიხედვით. უჯრედი უნდა შესდგებოდეს არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი წევრისა და ორი კანდიდატისაგან.

5. ხელისშემწყობი უჯრედი თავისი წრიდან აირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

6. მუშებისა და მოსამსახურეების ინიციატივით ან პროკურორის წინადადებით ამა თუ იმ დაწესებულებისა ან საწარმოს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებას შეუძლიან ვადამდე უკან გაიწვიოს როგორც მთლად უჯრედის შედგენილობა, ისე ცალკეული მისი წევრი უმოქმედობისა, გამოუსადეგრობისა ან დანაშაულისა და მცირე დანაშაულის ჩადენისათვის. აგრეთვე პროკურორს უფლება აქვს ჩამოაშოროს უჯრედის წევრი მოვალეობის შესრულებას დროებით, ახალ არჩევნებამდე.

7. ხელისშემწყობი უჯრედი ემორჩილება პროკურატურას, რომელიც ხელმძღვანელობას და ინსტრუქტირებას უწევს მას მიმდინარე მუშაობაში.

8. ხელისშემწყობმა უჯრედმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიითვისოს საკონტროლო ხასიათის ფუნქციები და არ უნდა ჩაერიოს დაწესებულებისა თუ საწარმოს ოპერატიულ მუშაობაში ან ადმინისტრაციის მოქმედებაში.

9. ხელისშემწყობი უჯრედის უშუალო მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს მთავრობის იმ დირექტივებისა, კანონებისა, დადგენილებებისა და განკარგულებების შესწავლასა და დამუშავებაში, რაც ეხება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგს, აგრეთვე იმ საუწყებო განკარგულებისა, დადგენილებისა, ცირკულარისა და ბრძანებისა, რაც ეხება უწყებულ საწარმოსა თუ დაწესებულებას, იმის შემოწმებით, თუ როგორ არის შეფარდებული და შეგუებული უწყებული დაწესებულებისა ან საწარმოს პრაქტიკაში, მთლად ან მისი მუშაობის ცალკეულ ნაკვეთებზე, ზემოაღნიშნული დირექტივები, დადგენილებები და განკარგულებები.

საერთო დირექტივებისა, კანონებისა და საუწყებო განკარგულებების შესწავლასთან ერთად, ხელისმწყობი უჯრედი შეისწავლის და დაამუშავებს მეურნეობის სათანადო დარგის ხუთწლიან გეგმას, წლიურ საკონტროლო ციფრებსა და სამრეწველო-საფინანსო გეგმებს და აგრეთვე უწყებული საწარმოს წლიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო გეგმას და ცალკეულ საწარმოო დავალებებს განსაზღვრული დროისა თუ სამუშაოს განსაზღვრული ნაკვეთისათვის როგორც მთელი საწარმოს, ისე მისი ნაწილების (ამქრების) ფარგლებში.

10. წინა მუხლში აღნიშნული მასალების შეგროვებით და შესწავლით ხელისშემწყობი უჯრედი სისტემატიურად აშუქებს თავისთვის წარმოების მდგომარეობას და მუშაობის მსვლელობას საწარმოო გეგმის შესრულებისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა, თვითღირებულების შემცირებისა, ბრაკის შემცირებისათვის და სხვ. და, უკეთუ აღმოაჩენს საწარმოს თუ დაწესებულების ხელმძღვანელთა უმოქმედობას და უმუყაითობას, შრომის დისციპლინის ბოროტი განზრახვით დარღვევას, მავნებლობას და სხვა დანაშაულებრივ მოქმედებას, რასაც შეუძლიან გამოიწვიოს საწარმოო გეგმის შეუსრულებლობა და ჩაშლა, დაუყოვნებლივ აცნობებს ამას პროკურატურას.

11. მე-10 მუხლში აღნიშნული მასალების შესაკრეფად ხელისშემწყობ უჯრედს უფლება აქვს დაათვალიეროს ყველა მასალა-გეგმები, ანგარიშები, სტატისტიკური ცნობები, საოპერატივო ჯუმლები, ცირკულარები, სარევიზიო ანგარიშები და სხვ., რაც ადმინისტრაციის თუ პროფესიონალური ორგანიზაციების განგარგულებაშია. ხელისშემწყობი უჯრედი ღონისძიებას ხმარობს, რათა საიდუმლო და კონფიდენციალური ხასიათის მასალა გახმაურებულ არ იქნეს.

12. ხელისშემწყობ უჯრედს დაკისრებულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის თავის საყოველდღეო მუშაობაში მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით მუშათა და სოფლის კორესპონდენტებთან, საწარმოო და ეკონომიურ თათბირებთან და გამოიყენოს ამ უკანასკნელთა მასალა და ინფორმაცია.

13. ხელისშემწყობი უჯრედის მუშაობაში მრწინავე და შეგნებული მუშების ჩასაბმელად უჯრედს შეუძლიან კოოპტაციისა თუ ცალკეული დავალების წესით მონაწილეობა მიაღებინოს თავის მუშაობაში მუშათა და მოსამსახურეთა სათანადო აქტივს.

14. ხელისშემწყობი უჯრედის სხდომებს მოიწვევს თავმჯდომარე თავისი შეხედულებისამებრ ან უჯრედის რომელიმე წევრის მოთხოვნით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

15. ხელისშემწყობი უჯრედის სხდომის ოქმის ასლი ეგზავნება სათანადო პროკურორს. მასვე ეგზავნება საინფორმაციო მასალა (საწარმოს მდგომარეობის ჯუმლი) და სხვა ცნობები, რაც, უჯრედის აზრით, საჭიროა პროკურატურამ იცოდეს.

16. ხელისშემწყობი უჯრედი ანგარიშს ურდგენს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებას სამ თვეში ერთხელ მაინც; ამასთანავე, თანამოხსენებით პროკურატურის მუშაობის შესახებ შეიძლება გამოვიდეს სათანადო პროკურორიც.

17. ხელისშემწყობი უჯრედის მუშაობა ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ იგი ხელს არ უშლიდეს როგორც უჯრედის წევრებისა, ისე სხვა მუშების და მოსამსახურეების მიერ პირდაპირი მოვალეობის შესრულებას მუშაობასა თუ სამსახურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

255. დადგენილება ც. ა. კ. და ს. ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 44 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 44 მუხლს დაემატოს პუნქტები „ვ“ და „ზ“ შემდეგი შინაარსისა:

„ვ) კოლექტიურ მეურნეობას;

„ზ) ვადიანი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ულენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

---

256. დადგენილება ც. ა. კ. და ს. ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3 ის დადგენილებით დამტკიცებული შრომის საგზაო ბეგარის დებულების 29 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 148) და აღნიშნული დებულების მე-5 მუხლისა, მე-6 მუხლის მე-2 შენიშვნისა, მე-9 მუხლისა, მე-17 მუხლის შენიშვნისა და მე-19, მე-20 და 23 მუხლების განსავითარებლად და დასამატებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1.

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი შრომის საგზაო ბეგარის განხორციელებისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე—მასში შემავალი რესპუბლიკებითა და ოლქითურთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შრომის საგზაო ბეგარა განხორციელდება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული შრომის საგზაო ბეგარის დებულებით განსაზღვრული წესების მიხედვით და აგრეთვე იმ ინსტრუქციების შესაბამისად, რასაც, აღნიშნული დებულების 28 მუხლის თანახმად, გამოსცემს ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო.

2. შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-5 მუხლის „ა", „ბ", „გ" და „დ" პუნქტებში აღნიშნულ პირთა გარდა, საგზაო მუშაობაში შრომით მონაწილეობისათვის აგრეთვე არ გაიწვევიან:

ა) უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი, იმათ გამოკლებით, ვისაც საკუთარი სასოფლო მეურნეობა აქვს;

ბ) ის პირნი, რომელნიც განთავისუფლებულ იქნებიან შრომის საგზაო ბეგარისაგან ადგილობრივი საბჭოების დადგენილებებით იმ პატივსადებ მიზეზების გამო, რაც გათვალისწინებულ არ არის შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-5 მუხლით, სახელდ ობრ: ის პირნი, რომელთა მეურნეობაც დაზარალდა ბუნების სტიქიურ მოვლენათაგან (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა), მოუსავლობის გამო, მუშა-ძალის დაკლების გამო და სხვ.

შენიშვნა. ამა მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნული პირნი, რომელთაც საკუთარი მეურნეობა აქვთ, გაიწვევიან საგზაო მუშაობაში მონაწილეობისათვის ისე, რომ მათ შრომითი ბეგარა შეეცვლებათ სათანადო ფულადი შენატანით.

3. შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-6 და მე-12 მუხლებით დადგენილი ამ ბეგარის ზღვრული ნორმები შეიძლება შემცირებულ იქნეს ცალკეული რაიონებისა და მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით (რაც აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ავტ. სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში წარდგენილ იქნება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით); ასეთი შუამდგომლობა აღრძულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა სათანადო ორგანოების მიერ იმ საგზაო სამუშაოთა გეგმის დამტკიცებამდე, რაც განსახორციელებელია შრომის საგზაო ბეგარის შეფარდებით.

4. შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-9 მუხლის „ა", „ბ", და „გ" პუნქტებში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საგზაო ორგანოების განკარგულებაში მუშა-საქონლისა და ჭაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებათა გადაცემისაგან, ადგილობრივი საბჭოების დადგენილებებით, განთავისუფლდება აგრეთვე ბუნების სტიქიურ მოვლენათაგან თვალსაჩინოდ დაზარალებულ მეურნეობათა მუშა-საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი.

5. ის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატიული ამხანაგობა და არტელი, რომელიც მონაწილეობას იღებს ადგილობრივი გზების მშენებლობისა, რემონტისა და შენახვის ხარჯებში სსრ კ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 50 №-ი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 457), განთავისუფლდება შომის საგზაო ბეგარის დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრული ფორმის ბეგარისაგან.

6. შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-17 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული საერთო წესების გამონაკლისად — იმ მოქალაქეთა გაწვევა საგზაო მუშაობაში პირადი შრომით მონაწილეობისათვის, რომელთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი რვა კილომეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული სამუშაოთა ადგილიდან, შეიძლება მარტოოდენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, ხოლო აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით.

შენიშვნა. აღნიშნული წესი არა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც შრომის საგზაო ბეგარით მოსახლეობა გასაწვევია საგზაო სამუშაოთა გეგმით გაუთვალისწინებელი ისეთი სამუშაოების განსახორციელებლად, რაც დაკავშირებულია ბუნების სტიქიურ მოვლენისაგან გზების დაზიანებასთან ან ამ დაზიანების თავიდან აცილებასთან; ასეთ შემთხვევაში ბეგარა-ვალდებული მოსახლეობის გაყვანა შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-17 მუხ. აღნიშნული ფარგლების გარეშე შეიძლება სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

7. შრომის საგზაო ბეგარავალდებულ პირთა და მეურნეობათათვის საგზაო მუშაობაში მათი პირადი შრომით მონაწილეობისა და საგზაო ორგანოების განკარგულებაში მუშა-საქონლის და სატრანსპორტო საშუალებათა გადაცემის მოვალეობის ფულადი შენატანით შეცვლის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) განცხადებას ბეგარის ნატურალური ფორმის ფულადი შენატანით შეცვლის თაობაზე დაინტერესებული პირი თუ მეურნეობა შეიტანს სათანადო ადგილობრივ საბჭოში არა უგვიანეს ერთი თვისა იმ ვადამდე, რაც საკალენდრო განრიგების მიხედვით დანიშნულია უწყებული ადგილის მოსახლეობის გამოსაყვანად შრომის საგზაო ბეგარის წესით განსახორციელებელ სამუშაოზე;

ბ) ამ განცხადებას ადგილობრივი საბჭო გადასწყვეტს ხუთი დღის ვადაზე შეტანის დღიდან; ამასთანავე, იმ ადგილას, სადაც შრომის ბირჟა არსებობს, ადგილობრივი საბჭო მოითხოვს ბირჟიდან ცნობას იმის შესახებ, რომ უწყებულ ადგილას არსებობს სათანადო მუშა-ძალა;

გ) ადგილობრივი საბჭო ნებას დართავს — შრომის საგზაო ბეგარის ნატურალური ფორმა შეიცვალოს ფულადი შენატანით — მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გამორკვეული იქნება, რომ სრული შესაძლებლობაა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები უზრუნველყოფილ იქნეს დამატებით დაქირავებული მუშა-ძალით და ჭაპანზიდვის ტრანსპორტით; შეცვლის ნებართვა გაიცემა მხოლოდ ზემოაღნიშნული შესაძლებლობის ფარგალში;

დ) შრომის საგზაო ბეგარის ნატურალური ფორმის ფულადი შენატანით შეცვლის ნორმებს დააწესებენ ადგილობრივი საბჭოები, ადგილობრივ საგზაო ორგანოებთან შეთანხმებით, იმისდამიხედვით, თუ რა საშუალო საბაზრო ფასები იქნება მუშა-ხელზე და ჭაპანზიდვის ტრანსპორტზე სათანადო რაიონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის წარმოების დროს და რა მოცულობისაა მთხოვნელ პირთა და მეურნეობათათვის დაკისრებული სამუშაოები საგადანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით;

ე) ადგილობრივი საბჭოს დადგენილება შრომის საგზაო ბეგარის ნატურალური ფორმის ფულადი შენატანით შეცვლისა, ასეთ შეცვლაზე უარისთქმისა და დანიშნული ფულადი შენატანის რაოდენობის შესახებ სამი დღის ვადაზე ეცნობება მთხოვნელ პირთ და მეურნეობათ და აგრეთვე ადგილობრივ საგზაო ორგანოებს; მთხოვნელ პირთ და მეურნეობათ, აგრეთვე საგზაო ორგანოებს უფლება აქვთ განასაჩივრონ ადგილობრივი საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში ხუთი დღის ვადაზე ადგილობრივი საბჭოს დადგენილების მათთვის შეტყობინების დღიდან;

ვ) ზემოაღნიშნულ საჩივარს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი გადასწყვეტს ხუთი დღის ვადაზე მიღების დღიდან და მის მიერ საჩივრის თაობაზე გამოტანილი დადგენილება არ განისაჩივრება;

ზ) ზემოაღნიშნული წესით განსაზღვრულ ფულად გამოსაღებს ბეგარავალდებული პირნი და მეურნეობანი შეიტანენ ხუთი დღის ვადაზე სათანადო ადგილობრივ საბჭოში; ამასთანავე, მცირე ძალოვან მეურნეობებსა და ხელმოკლე პირებს ადგილობრივმა საბჭომ შეიძლება გადაუდოს ან გაუნაწილოს ფულის შეტანის ვადა, ხოლო არა უხანგრძლივეს ერთი თვისა სათანადო დადგენილების გამოტანის დღიდან.

8. შრომის საგზაო ბეგარის შესრულებაზე უარისთქმა, აგრეთვე ბოროტი განზრახვით ამ ბეგარისაგან თავის არიდება, გარდა იძულებითი წესით სათანადო ფულადი თანხის გადახდევინებისა, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად.

9. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებსა და ყამირგზებს უბნებზე დაჰყოფს და შრომის საგზაო ბეგარის წესით მათთვის მომსახურეობის გასაწევად ცალკეულ დასახლებულ პუნქტებზე (სოფელი, ქალაქი, დასახლებულობა) მიამაგრებს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა, და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო — იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს ესა თუ ის გზა.

ეს დაყოფა შეტანილ იქნება განსაკუთრებულ განრიგებაში, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო და რაც გამოქვეყნებულ იქნება საყოველთაო ცნობისათვის.

ცვლილებები აღნიშნულ განრიგებაში შეიტანება ამავე წესით.

10. შრომის საგზაო ბეგარა-ვალდებული მოსახლეობისა და საგზაო მუშაობაში სამონაწილო მუშა-საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა აღნუსხვას და აგრეთვე ამ სამუშაოებზე ბეგარა-ვალდებულ პირთა და სატრანსპორტო საშუალებათა განწესებას აწარმოებენ ადგილობრივი საბჭოები იმ ინსტრუქციით დადგენილი წესების თანახმად, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველო — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით.

ამავე ინსტრუქციით გაითვალისწინება ცალკეულ დასახლებულ ადგილებს შორის წლიური, გეგმით გათვალისწინებულ საგზაო სამუშაოთა განაწილების წესი.

11. შრომის საგზაო ბეგარის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა დაეკისრება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, ხოლო რაიონების ტერიტორიაზე — აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

II.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს: ა) მოახდინოს სამი თვის ვადაზე ამა დადგენილების მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაყოფა გზებისა უბნებზე და მათი მიმაგრება ცალკეულ დასახლებულ პუნქტებზე შრომის საგზაო ბეგარის წესით მოსამსახურეობის გასაწევად; ბ) გამოსცეს ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილების მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქცია.

III.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) 1928 წ. მარტის 30-ის ინსტრუქცია სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის დებულების შეფარდების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-ი, მუხ. 46);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წ. მაისის 25-ის დადგენილება — სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის დებულების შესაფარდებლად გამოცემული ინსტრუქციის მოქმედების ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე გავრცელების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 133).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. აგვისტოს 30.
ტფილისი — სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

257. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

1930 წლის საშემოდგომო თესვის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაპრემირების შესახებ.

1930 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულების წასახალისებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, „1930 წლის საშემოდგომო თესვის სას.-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით სას.-სამეურნეო ორგანიზაციების დაპრემირების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 13-ის დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად (გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 217/2485 № ი 1930 წლის აგვისტოს 14-ისა) ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს პრემიის მიცემა იმ სასოფლო საბჭოებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, მუშათა ბრიგადებისა, სასოფლო ამხანაგობებისა, სარემონტო სახელოსნოებისა, აგრონომიული პერსონალისა, სამანქანო-სატრაქტორო კოლონებისა, ცხენთა და ხარკამეჩთა კოლონებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დამკვრელებისა, 25-ათასეულებისა, მუშათა ბრიგადებისა, სოფლის კორესპონდენტებისა, ქოხელებისა, ცეხებისა, ცვლებისა და სხვებისათვის, რომლებიც თავს გამოიჩენენ მომავალი საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმის შესრულების საქმეში.

2. პრემიების ორგანიზაციისა და განკარგულებისათვის მოეწყობიან პრემიალური კომისიები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლექტიურ მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან.

3. მე-2 მუხლში გათვალისწინებული პრემიალური კომისიები მოეწყობიან:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლისაგან (თავმჯდომარე), საქართველოს კომპარტიის (ბ), საქართველოს ალკკ-ისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირის საბჭოს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრისა და მემინდვრეობის კავშირის წარმომადგენელთაგან, რომელთაც ეს დაწესებულებანი პერსონალურად გამოჰყოფენ, და რომელთაც დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი;

ბ) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლისაგან (თავმჯდომარე), საქართველოს კომპარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტისა, საქართველოს ალკკ სარაიონო კომიტეტისა, საქართველოს პროფსაბჭოს სარაიონო ორგანოსი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილმამულო განყოფილებისა, სარაიონო კოლექტიურ მეურნეობათა კავშირისა და სას.-სამეურნეო რაიკოოპკავშირის წარმომადგენელთაგან, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ეს ორგანიზაციები პერსონალურად გამოჰყოფენ და რომელთაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს;

გ) საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან პრემიალური კომისიები მოეწყობიან იმ პირებისაგან (7 კაცი თვითეულ კომისიაში), რომელთაც კოლექტიური მეურნეობების წევრებისა და საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშების საერთო კრება აირჩევს—კუთვნილებისამებრ.

4. პრემიას დაუნიშნავს:

ა) სასოფლო საბჭოებს, კოლექტიურ მეურნეობებს, მუშათა ბრიგადებს, სასოფლო ამხანაგობებს, სარემონტო-სახელოსნოებს და აგრონომიულ პერსონალს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, სარაიონო პრემიალური კომისიების წარდგენისამებრ;

ბ) სამანქანო-სატრაქტორო კოლონებს, ცხენთა და ხარ-კამეჩთა კოლონებს, კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დამკვრელებს, ოცდახუთ-ათასეულებს, მუშათა ბრიგადელებს, სოფლკორებს, ქოხელებს, და სხვებს—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი;

გ) ბრიგადებსა, ცეხებს, ცვლებსა და დამკვრელებს—კოლექტიურ მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან არსებული პრემიალური კომისიები—კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა. ის კანდიდატურა, რაც წარმოდგენილ იქნება პრემიით დასაჯილდოვებლად კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან არსებული პრემიალური კომისიების მიერ, განხილულ უნდა იქნეს კოლმეურნეობების წევრებისა და საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა ფართო მასების მიერ, ამასთანავე, იმ პირთა და ორგანიზაციათა შესახებ, რომელნიც თავს გამოიჩენენ, უნდა ეცნობოს მოსახლეობას პრესისა, კინოსი, რადიოსი და სხვა საშუალებით.

5. იმ პრემიათა რიცხვს, რომლებითაც შეიძლება დაჯილდოვებულ იქნენ ცალკეული პირები და ორგანიზაციები, ეკუთვნის:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დასანიშნავი პრემიები—სამეურნეო მანქანები და ინვენტარი, ჟეტონები და ნატურალური პრემია აგრონომებისა და სას. მეურნეობის სხვა სპეციალისტ-დამკვრელებისათვის, კულტ-დაწესებულებებისათვის (ბავშვთა ბაგა, საბავშო ბაღი, კინო, რადიო, კლუბი) შეღავათები დაკრედიტების სფეროში;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დასანიშნავი პრემიები—მარტივი სას.-სამეურნეო მანქანები, დამკვრელებისათვის—გაგზავნა სასწავლოდ, საექიმოდ და დასასვენებლად, პრემია ნატურით—ტანისამოსი, საათი, ველოსიპედი, რადიო, ბიბლიოთეკა და სხვ.;

გ) კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან არსებული პრემიალური კომისიების მიერ დასანიშნავი პრემიები—მხოლოდ ნატურით ან გაგზავნა სასწავლოდ, საექიმოდ, საექსკურსიოდ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ფულადი პრემიის დანიშვნა, — როგორც საერთო წესი, — არ შეიძლება.

6. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ პრემიალურ კომისიას ეკისრება ხელმძღვანელობა და ცოცხალი ინსტრუქტაჟი გაუწიოს ქვემდგომ პრემიალურ კომისიებს და უზრუნველჰყოს გეგმიანობა პრემიების გაცემის საქმეში ადგილებზე.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, კოლმეურნეობათა ცენტრთან და სას.-სამ. კოოპერაციის რესპ. ცენტრებთან შეთანხმებით, შეიმუშაოს სამი დღის ვადაზე და წარმოადგინოს დასამტკიცებლად დებულება დაპრემირების ფონდისა, ამ ფონდის წყაროებისა და დაპრემირების პირობებისა და წესების შესახებ.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი სათანადო რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. აგვისტოს 30.
ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 210 №-ში 1930 წ. სექტემბრის 9.

---

258. დადგენილება ც. ა. კ.

„მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-5 მუხლისათვის „კ" ლიტერის დამატებისა და მე 6 მუხლის ლიტ. „ბ" შენიშვნის შეცვლის შესახებ.

„1928 წლის საბჭოთა არჩევნების შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-11 მუხლისათვის „ო" ლიტერის დამატებისა და მე-13 მუხლის „გ" ლიტერის შენიშვნის შეცვლის თაობაზე გამოქვეყნებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 138) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობის მოწვევის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-5 მუხლს (კან. კრ. 1929 წ. მე-5 №-ი, მუხ. 30; მე-6 №-ი, მუხ. 49; მე-14 №-ი, მუხ. 149) დაემატოს ლიტ. „კ“ შემდეგი შინაარსისა:

„კ) ის პირი, რომლის მეურნეობაც, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონმდებლობაში აღნიშნული ნიშნების მიხედვით, მიეკუთვნება კულაკურ მეურნეობათა კატეგორიას“.

2. მე-6 მუხლის „ბ“ ლიტერის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** დროებითი მუშების შრომის გამოყენება ისეთი რაოდენობით, რასაც ინდივიდუალური წესით დაბეგვრა არ მოსდევს, არ გამოიწვევს საარჩევნო უფლების ჩამორთმევას“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. აგვისტოს 11.
ტფილისი—სასახლე.

---

259. დადგენილება ც. ა. კ.

„მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე 8 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

„საბჭოთა არჩევნებისათვის გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-15 მუხლისათვის შენიშვნის დამადების თაობაზე“ გამოქვეყნებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 150) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-8 მუხლს (კან. კრ. 1929 წ. მე-5 №-ი, მუხ. 39) დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**შენიშვნა 2.** სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსა და აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს შეუძლიანთ ცალკეულ შემთხვევაში აღუდგინონ ხოლმე საარჩევნო უფლება მე-8 მუხლში ჩამოთვლილ პირთ, თუნდაც მათ სამი წლის შრომის სტაჟი არა ჰქონდეთ, უკეთუ დაცულ იქნება ყველა სხვა პირობა, რაც აღნიშნულია ამა მე-8 მუხლში“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ჟღენტი.**

1930 წ. აგვისტოს 11.
ტფილისი—სასახლე.

---

260. დადგენილება ც. ა. კ.

„მიწების ჩამორთმევის წესის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. აპრილის 15 ის დადგენილების მე 2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. აპრილის 15-ის დადგენილების მე-2 მუხლი (კან. კრ. 1925 წ. მე-2 №-ი, მუხ. 30) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ საერთო წესის გარეშე იმ ზედმეტი მიწის ჩამორთმევა, რაც ნორმას აღემატება, აგრეთვე იმ მიწისა, რაც ისეთი პირის ხელშია, რომელსაც მიწის სარგებლობის უფლება სრულიად არა აქვს, თვითეულ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) მიწის ჩამორთმევის საკითხი ასეთ შემთხვევაში, სათანადო ცნობების გამორკვევის შემდეგ, აღიძვრის სასოფლო საბჭოს დადგენილებით;

შენიშვნა. მიწის ჩამორთმევის საკითხის გამორკვევის შემდეგ, იმ პირს, რომელსაც მიწა უნდა ჩამოერთვას, უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავისი უფლების დასაცავად წარადგინოს საჭირო ცნობები.

ბ) სასოფლო საბჭოს დადგენილება ყველა იმ ცნობითურთ, რაზედაც დამყარებულია დადგენილება, ხუთი დღის ვადაზე მისი გამოტანის დღიდან წარედგინება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი შვიდი დღის ვადაზე განიხილავს საკითხს სასოფლო საბჭოს მიერ შეკრეფილი ცნობების თანახმად; უკეთუ ცნობილ იქნება, რომ წარდგენილი მასალა საკმაოა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი გამოიტანს დადგენილებას მიწის ჩამორთმევის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის ჩამორთმევის საკითხი უარყოფილ იქნება;

დ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მიწის ჩამორთმევის შესახებ ძალაში შევა და აღსრულებულ იქნება შვიდი დღის შემდეგ დაინტერესებული პირისათვის დადგენილების გამოცხადების დღიდან, უკეთუ ამ ვადის განმავლობაში დადგენილება განსაჩივრებულ არ იქნა;

ე) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაზე მიწის ჩამორთმევის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლიან, შვიდი დღის ვადაზე მისთვის დადგენილების გამოცხადების დღიდან, შეიტანოს საჩივარი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიაში, რომელიც განიხილავს საქმეს თოთხმეტი დღის განმავლობაში საქმის მიღების დღიდან;

ვ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება;

ზ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ დამტკიცებული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მიწის ჩამორთმევის შესახებ აღსრულებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრ. **თ. ულენტი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი—სასახლე.

---

261. დადგენილება ც. ა. კ.

„ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკლვის აღმომჩენთა გასამრჯელოსი და ხორცის მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების გადაცემის თაობაზე" გამოცემული დადგენილების ძალის დაკარგვის შესახებ.

„1929/30 წლის მე-4 კვარტალში ა/კსფსრ-თვის ოთხფეხი საქონლის დამზადებისა და ხორცის მომარაგების შესახებ" გამოცემულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 10-ის დადგენილებასთან („ზარია ვოსტოკა"-ს 228/2496 №-ი) დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 28-ის დადგენილება „ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლის აღმომჩენთა გასამრჯელოსი და ხორცის მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 22).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. აგვისტოს 30.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

262. დადგენილება ს. კ. ს.

საფოსტო გზავნილთა სწრაფი და წესიერი მსვლელობისათვის ხელის შემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

ადრესატებისათვის საფოსტო გზავნილთა ჩაბარების პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს და საბჭოებს:

1) არ შეუცვალონ სახელწოდება დასახელებულ პუნქტებს და ქალაქის ქუჩებს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე და სახელწოდების შეცვლას მიმართონ გამონაკლისს შემთხვევაში, განსაკუთრებული პოლიტიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საბაბის მიხედვით;

2) შესცვალონ, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნით, დასახლებული პუნქტების და აგრეთვე ერთი და იმავე ქალაქის ქუჩების ერთნაირი სახელწოდება;

3) შემოიღონ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ქუჩების სახელწოდების წარწერა და სახლებისა და ბინების ნუმერაცია;

4) უზრუნველჰყონ, რათა საადრესო მაგიდებში საჭირო სისწრაფით და სისწორით იქნეს მიღებული ცნობები იმ შემთხვევაში, უკეთუ საფოსტო გზავნილის ადრესატი პოვნილ ვერ იქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. კატეგორიულად აუკრძალონ სასოფლო საბჭოებს სოფლად წერილების დამტარებელთაგან კორესპონდენციისა და გაზეთების მიღება იქ, სადაც დაწესებულია ამ გზავნილთა სახლში ჩაბარება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. აგვისტოს 6.
ტფილისი—სასახლე.

---

263. დადგენილება ს. კ. ს.

სამოქალაქო ომის ინვალიდებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში თანამდებობის დასაჭერად უპირატესი უფლების მინიჭების შესახებ.

სამოქალაქო ომის ინვალიდების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე შერეულ სააქციო საზოგადოებას— ისეთი თავისუფალი თანამდებობის შევსების დროს, რაც ხელმისაწვდენია ინვალიდებისათვის, მისცეს უპირატესობა სხვა პირებთან შედარებით, პროფესიონალურ კავშირთა უმუშევარ წევრების თანაბრად, სამოქალაქო ომის ინვალიდებს, რომელნიც სამკურნალო ექსპერტიზის ბიუროს მიერ მიკუთვნებულ არიან ინვალიდობის მე-5 და 6 ჯგუფებისათვის.

2. ის დაწესებულება და საწარმო, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსინათლოთა შრომა, მოვალეა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამოქალაქო ომის უსინათლო ინვალიდთა სამუშაოზე მიღებისა და დანიშვნის საკითხს.

3. მიენდოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატსა და შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცენ ინსტრუქცია სამოქალაქო ომის ინვალიდთა სამუშაოზე გაგზავნისა და მიღების შესახებ, ამა დადგენილების თანახმად, და აგრეთვე გამოსცენ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, იმ თანამდებობათა სია, რომელთა დაჭერაც შეუძლიანთ სამოქალაქო ომის ინვალიდებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. აგვისტოს 16.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

264. დადგენილება ს. კ. ს.

მუშა-ძალით მშენებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

მუშა-ძალით მშენებლობის უზრუნველსაყოფად და აგრეთვე მშენებლობისათვის სოფლად მცხოვრებ მუშა-მშენებელთა სავსებით გამოსაყენებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ისეთ შემთხვევაში, როდესაც შრომის ორგანოებს ადგილებზე საკორესპოდენტო პუნქტები არა აქვთ, ცნობები სოფლად მცხოვრებ იმ მუშა-მშენებელთა შესახებ, რომელნიც მიმაგრებულ არ არიან სამშენებლო ორგანოებზე ან მათ მიერ დაკონტრაქტებულნი, შრომის უახლოეს ორგანოებს უნდა წარუდგინონ:

ა) მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებიდან—კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებმა;

ბ) სხვა რაიონებიდან—სასოფლო საბჭოებმა.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ღონისძიებანი ამა დადგენილების განსახორციელებლად.

3. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ორი კვირის ვადაზე, ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. აგვისტოს 16.
ტფილისი—სასახლე.

---

265. დადგენილება ს. კ. ს.

სატყეო მეურნეობათა მომუშავეების სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა ისინი სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით ან ამ მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულ ან დაშავებულ იქნენ, და აგრეთვე მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

რადგანაც სამეტყევეოთა და სასწავლო სატყეო მეურნეობათა მომუშავეებს მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა და აგრეთვე რადგანაც არის ხოლმე ძალმომრეობის შემთხვევები ამ მომუშავეთა მიმართ მათ სამსახურობრივ მოვალეობასთან დაკავშირებით ან ამ მოვალეობის აღსრულების დროს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს, დაწყებული 1930/31 საბიუჯეტო წლიდან, სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა ტყის შემდეგი მომუშავეებისა: ტყის დარაჯებისა, ტყის მცველებისა, რაიონისა და უბნის მეტყევეებისა, ტყის ინსტრუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორებისა, რევიზორებისა, ტაქსატორებისა და ტყის მზომლებისა, აგრეთვე საცდელი სადგურებისა და კულტურულ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობების გამგეებისა.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ცენტრალურ სამმართველოს—ამა დადგენილების 1-ლი მუხლის აღსრულების მიზნით—დასდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსთან გენერალური ხელშეკრულობა 1-ლ მუხლში აღნიშნულ მომუშავეთა დაზღვევის შესახებ. ამ ხელშეკრულობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ცენტრალური სამმართველოს ვალდებულება გადაუხადოს ხოლმე საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს სადასაზღვეო პრემიები ასეთი სახის დაზღვევისათვის დაწესებული სპეციალური საშეღავათო ტარიფის მიხედვით სადასაზღვევო საზღაურის თანხაზე 1.000 მან. რაოდენობით, ვინიცობაა დაზღვეულს სიკვდილი შეემთხვა, და 1.000 მან. რაოდენობით, ვინიცობაა დაზღვეული დაინვალიდდა.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ცენტრალური სამმართველოს ხარჯთაღრიცხვაში კრედიტები ისეთი რაოდენობით, რაც ნამდვილად საჭირო იქნება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსათვის სადასაზღვეო პრემიების გადასახდელად, არსებული საშეღავათო ტარიფის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. აგვისტოს 16.
ტფილისი—სასახლე.

---

266. დადგენილება ს. კ. ს.

ტფილისის ღარიბთა დამხმარე საზოგადოების ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ტფილისის ღარიბთა დამხმარე საზოგადოება და მის მიერ მოწყობილი არტელები, კომუნები და ამხანაგობები, აგრეთვე მის მიერ უშუალოდ ექსპლოატირებული წარმოებითი და სავაჭრო საწარმონი, გარდა იმ შეღავათებისა, რაც მათ მინიჭებული აქვთ საერთო-საკავშირო კანონმდებლობით, განთავისუფლებულ იქნენ სასამართლო ბაჟისა და ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე განთავისუფლებულ იქნენ სანახაობათა ადგილობრივი გადასახადისაგან და სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სასარგებლოდ დაწესებული გამოსაღებისაგან ტფილისის ღარიბთა დამხმარე საზოგადოების მიერ გამართული ის გასართობანი და სანახაობანი, რომელთა შემოსავალიც მთლად ამ ორგანიზაციის სახსართა გასაძლიერებლად მიიქცევა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. აგვისტოს 16.
ტფილისი—სასახლე.

---

267. დადგენილება ს. კ. ს.

შენობების კაპიტალური რემონტის გასაკეთებლად საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მიერ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის მისაცემ სესხთა პროცენტის რაოდენობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილებით დამტკიცებული „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების“ მე-10 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 252) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შენობების კაპიტალური რემონტის გასაკეთებლად საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მიერ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის მისაცემ სესხთა პროცენტი დაწესებულ იქნეს შემდეგი ზღვრული რაოდენობით:

ა) ბანკის მიერ ნასესხები სახსარიდან გაცემულ სესხზე—არა უმეტეს 8%-ისა წლიურად;

ბ) სხვა წყაროებიდან გაცემულ სესხზე—არა უმეტეს 6%-ისა წლიურად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. ივლისის 16.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 2.012. ტირაჟი 1.050.